პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

--- ნოემბერი 2026 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის № გ-15.15261816 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის №გ-15.15261816 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა გაგრძელდეს 1 (ერთი) თვით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის № გ-15.15261816 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის № გ-15.15261816 განკარგულებით 3 (სამი) თვის ვადით შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისთვის.

დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა ორჯერ გაგრძელდა, თითოეული 1 (ერთი) თვით. ამ დროის განმავლობაში შესწავლილი დოკუმენტაციისა და მოპოვებული მონაცემების მოცულობის გათვალისწინებით, დამატებითი დრო საჭიროა მონაცემების საბოლოო შეჯერებისთვის, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთების დასასრულებლად და სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით, ხოლო უფლებამოსილების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 (ექვსი) თვეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებულია დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის მესამედ, 1 (ერთი) თვით გაგრძელება.

ა.ბ) პროექტის არსი:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის №გ-15.15261816 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის მესამედ, 1 (ერთი) თვით გაგრძელებას. გაგრძელების შედეგად სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების საერთო ვადა შეადგენს 6 (ექვს) თვეს.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტი არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ გამართულა.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი თავართქილაძე